

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი  
Batumi Art State Teaching University

**სტუდენტთა VI სამართაშორისო  
კონფერენცია**

18 მაისი

**პროგრამა**

**VI International Student Conference**

May 18

**Program**

**ბათუმი – 2023 – Batumi**

**სტუდენტთა საერთაშორისო კონფერენციის  
საორგანიზაციო ჯგუფი:**

- |                   |  |
|-------------------|--|
| თეიმურაზ კეჭერაძე | - რექტორი, პროფესორი, საორგანიზაციო ჯგუფის ხელმძღვანელი;   |
| გელა ბერიძე       | - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;   |
| სოფიო თავაძე      | - განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი; |
| თეა ცაგური        | - სამეცნიერო და საგამომცემლო განყოფილების უფროსი, ასისტენტ-პროფესორი;  |
| სალომე ჩიკაშუა    | - სამეცნიერო და საგამომცემლო განყოფილების სპეციალისტი;   |
| აკაკი მუხაშავერა  | - IT მენეჯერი;   |
| თინათინ ჯაში      | - კულტურის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის III კურსის სტუდენტი;  |
| ნინო ბერიძე       | - ტელე-რადიო ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის III კურსის სტუდენტი.  |

## კონფერენციის სამუშაო განრიგი

18 მაისი

10.00-10.30 - მონაწილეთა რეგისტრაცია

10.30-11.00 – კონფერენციის გახსნა

11.00- 12.30 – I სესია

12.30-13.00 – შესვენება ყავისთვის

13.00-14.30 – II სესია

14.30-15.00 – ხემსი (შვედური მაგიდა)

15.00-15:30 – კონფერენციის შეჯამება და დახურვა

15:30 – ხელოვნების უნივერსიტეტის სტუდენტთა კონცერტი

### რეგლამენტი:

მომხსენებელთათვის - 10 წთ.

დისკუსიისთვის - 5 წთ.

საქართველო, ბათუმი, ზურაბ გორგილაძის/ვაჟა-ფშაველას ქ. № 19/32

[www.batu.edu.ge](http://www.batu.edu.ge)

[info@batu.edu.ge](mailto:info@batu.edu.ge)

## სექცია: ხელოვნებათმცოდნეობა, მუსიკისმცოდნეობა

I სესია 11.00- 12.30

მოდერატორი: პროფესორი - რატი ჩიბურდანიძე

1. ნინო გოგიბერიძე - *მირონ შველიძე - „ჩუმი რაინდი.“* ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა. სპეციალობა - ხელოვნებათმცოდნეობა. I კურსი.  
ხელმძღვანელი: ასისტენტ პროფესორი - ნათია კვაჭაძე.
2. ანნა მელია - *ქორდოს ტაძრის რელიეფები.* ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა. სპეციალობა- ხელოვნებათმცოდნეობა. II კურსი.  
ხელმძღვანელი: ასისტენტ პროფესორი - ნათია კვაჭაძე.
3. მარიამ საგინაძე - *თანამედროვე ტექნოლოგიების როლი მოდის ინდუსტრიაში.* ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, სპეციალობა - სამოსის დიზაინი. III კურსი.  
ხელმძღვანელი: პროფესორი - რატი ჩიბურდანიძე.
4. მარიამ თავდგირიძე - *ბათუმის ხ. ახვლედიანის მუზეუმის ერთი ექსპონატის შესახებ (წითელფიგურიანი კრატერი).* ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა. სპეციალობა- ხელოვნებათმცოდნეობა. I კურსი.  
ხელმძღვანელი - ნატო ხაბაზი.
5. ნინო თავაძე - *ნაწარმოებთა გადაწერა-ტრანსკრიფციის მნიშვნელობა ი.ს. ბახის შემოქმედებაში.* თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, სპეციალობა: მუსიკის თეორია. I კურსი.  
ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი - ნანა შარიქაძე
6. მარიამ ჭეიშვილი - *ქართული მუსიკალური კრიტიკა-ჟურნალისტიკა XX საუკუნის 10-20-იან წლებში (ჟურნალების “თეატრი და მუსიკისა” და “მუსიკა და ცხოვრების” მაგალითზე)* თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა. სპეციალობა- მუსიკის ისტორია.  
ხელმძღვანელი: პროფესორი - მარინა ქავთარაძე

## სექცია: თეატრმცოდნეობა

I სესია 11.00- 12.30

მოდერატორი: პროფესორი - თეიმურაზ კეჭერაძე

1. ანასტასია ჩერნეცოვა - *მირიან შველიძის სცენოგრაფია ავთანდილ ვარსიმაშვილის სპექტაკლში „მექანიკური ფორთოხალი.“* საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, სპეციალობა- თეატრმცოდნეობა. III კურსი.  
ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი - მაია კიკნაძე.
2. ლალი იობაშვილი- *„დედაობის“ ინტერპრეტაცია ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე.* საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა. სპეციალობა: თეატრმცოდნეობა. III კურსი.  
ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი - მაია კიკნაძე.
3. კახაბერ ბრეგაძე- *ილია ჭავჭავაძე და ქართული თეატრი.* ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, სპეციალობა: სამსახიობო ხელოვნება. III კურსი.  
ხელმძღვანელი: ასისტენტ პროფესორი - თეა ცაგურია.
4. ანა სულამანიძე - *მარტინ მაკდონას „ბალიშის კაცუნას“ ინტერპრეტაციის ორი ვერსია.* საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, სპეციალობა- თეატრმცოდნეობა. III კურსი.  
ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი - მაია კიკნაძე.
5. სიხარულიძე შორენა, თეკლა ჯიჯავაძე - *მსახიობის მუშაობა როლზე (აკაკი ვასაძის წიგნის „მოგონებები, ფიქრები“ მიხედვით).* ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, სპეციალობა: სამსახიობო ხელოვნება. II კურსი.  
ხელმძღვანელი: პროფესორი - თეიმურაზ კეჭერაძე.

## სექცია: მედია

II სესია - 13.00-14.30

მოდერატორი: სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი - ლაშა ზარგინავა

1. ლიკა ფაჩუაშვილი - *დეზინფორმაცია უკრაინის ომის განმავლობაში (BBC, 2022)*. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა. სპეციალობა - ჟურნალისტიკა. III კურსი.  
ხელმძღვანელი: პროფესორი - ზაზა ცოტნიაშვილი.
2. ნინო ბერიძე - *მედიის მორალური პანიკა და მოზარდები*. ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა. სპეციალობა: ტელე-რადიო- ჟურნალისტიკა III კურსი.  
ხელმძღვანელი: მასობრივი კომუნიკაციის დოქტორი - ინგა ზოიძე
3. მარიამ ბერიძე - *სატელევიზიო რეკლამის გავლენა მომხმარებლის ქცევაზე*. ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა. სპეციალობა: ტელე-რადიო- ჟურნალისტიკა II კურსი.  
ხელმძღვანელი: ასისტენტ პროფესორი - თეა ცაგურია.
4. ქეთევან ჩუთლაშვილი - *საქართველოში არსებული შეიარაღებული კონფლიქტები და ქართული მედია*. ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, სპეციალობა: ტელე-რადიო- ჟურნალისტიკა III კურსი.  
ხელმძღვანელი: სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი - ლაშა ზარგინავა.

**სექცია : კულტურის მენეჯმენტი,  
კულტურული ტურიზმი, განათლება**

II სესია - 13.00-14.30

**მოდერატორი: პროფესორი - ერმილე მესხია**

1. **თამარა ბერდიბეგი - ხოჯა აჰმედ იასავის მავზოლეუმის მნიშვნელობა, როგორც კულტურული ტურიზმის მთავარი ობიექტი.** ყაზახეთის ტურიზმისა და მასპინძლობის საერთაშორისო უნივერსიტეტი. სპეციალობა - ტურისტული ლოკაციების მართვა. III კურსი.  
ხელმძღვანელი: უფროსი მასწავლებელი - ალმას დჟაკსილიკოვ ილესბაიულუ.
2. **დარია ლუკპანოვა - 21-ე საუკუნის ჭირი.** ყაზახეთის ტურიზმისა და მასპინძლობის საერთაშორისო უნივერსიტეტი. სპეციალობა- საერთაშორისო და შიდა ტურიზმი. III კურსი.  
ხელმძღვანელი : მაგისტრი - ალმას ჯახილიკოვი.
3. **როზო სურმანიძე - კულტურული მემკვიდრეობის მართვის თანამედროვე გამოწვევები.** ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა. II კურსი,  
ხელმძღვანელი: პროფესორი: ერმილე მესხია
4. **თეონა როდინაძე - საშემსრულებლო ხელოვნების სფეროს ორგანიზაციების მართვის თავისებურებები.** ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.  
ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი - სოფო თავაძე.

# თეზისები



## ხელოვნებათმცოდნეობა

**ნინო გოგიბერიძე**

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი  
*ბათუმი, საქართველო*

### **მირონ შველიძე - „ჩუმი რაინდი“**

ჩუმი რაინდი, ასე მოიხსენიებენ დიდ ქართველ მხატვარს, რომლის სახელიც საზღვარს გასცდა და ხელოვანთა გილდია მონუსხა. მირონ შველიძე - ქართველი სცენოგრაფი, რუსთაველის თეატრის მთავარი მხატვარი, ფერმწერი, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

მისი თეატრალური შემოქმედება მაყურებელს მძაფრად აგრძნობინებს სპექტაკლში ასახულ ვითარებას და ეპოქას. ქონდა თავისი ინდივიდუალური მხატვრული სტილი, ფაქტურა - შელახული ფრესკები, გადაცრეცილი საღებავებით, გახუნებული ქსოვილები, კოროზირებული ლითონი და ასე შემდეგ. მისი შემოქმედებითი სტილის გამომსახველი ეს მცირე ჩამონათვალი, მხატვარს გენიალურად აქცევს.

რობერტ სტურუასთან და გია ყანჩელთან ნაყოფიერად გატარებული წლები, გენიალური და მსოფლიო მასშტაბით აღიარებული ათობით სპექტაკლი, ფერწერული ტილოები, ესკიზები, მაკეტები, დეკორაციები, საზოგადოებრივი ადგილების უნიკალური ინტერიერი, შექსპირის ერთ-ერთი საუკეთესო სცენოგრაფის წოდება, საფრანგეთში მოპოვებული აღიარება და კიდევ მრავალი სხვა.

**ანნა მელია**

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი  
*ბათუმი, საქართველო*

### **ქოროლოს ტაძრის რელიეფები**

ქოროლოს ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის რელიეფები ქართული პლასტიკური ხელოვნების უნიკალურ ნიმუშს წარმოადგენს, მას პირდაპირი

ანალოგი საქართველოში არ მოეპოვება. X საუკუნის ბარელიეფები მოწყვეტილია ტრადიციულ კანონიკას, რასაც დიდწილად ტაძრის გეოგრაფიული მდებარეობა განაპირობებს. ოსტატი თავისუფალი და ორიგინალური მეთოდით „აღწერს“ ტაძრის აგების პროცესიას. ქანდაკების დამუშავების მხრივ ქოროლოს ოსტატი ავლენს წინარე ხანის მხატვრულ-გამომსახველობით ტრადიციებს, თუმცა, ამდიდრებს და საგულისხმოდ გარდაქმნის მას ახლებური ელემენტებით - ფიგურათა მოცულობრიობითა და შექმნილი დინამიკით. სამშენებლო პროცესის ამსახველი ადამიანთა სახეები მოგვაგონებენ გარდამავალი ხანის პრიმიტივიზმის ნიმუშებს. აგრეთვე, სვანურ ხატებსაც, რომელთაც პირობითი პროპორციები ახასიათებთ. საინტერესოა, რომ ამ ბარელიეფებში შემოქმედი-ოსტატი ახერხებს მოაქციოს ერთდროულად ქართველთა წარსულიც, აწმყოც და მომავალიც, სადაც ჩანს რწმენაც და ეროვნული მსოფლმხედველობაც, ღირებულებათა სისტემა თუ მხატვრული განვითარების საფეხურები.

**მარიამ საგინაძე**

ბაუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი  
ბათუმი, საქართველო

### **თანამედროვე ტექნოლოგიების როლი მოდის ინდუსტრიაში**

მოდის ინდუსტრია არის გლობალური ინდუსტრია, რომელიც გამოწვეულია შემოქმედებითობით და ინოვაციებით. ტექნოლოგია არღვევს მოდის ინდუსტრიის ყველა ასპექტს, დიზაინიდან და წარმოებიდან მარკეტინგისა და გაყიდვების ჩათვლით. წარსულში მოდის ინდუსტრია ნელა ითვისებდა ტექნოლოგიას, მაგრამ ეს სწრაფად იცვლება. ტექნოლოგიის გამოყენება მოდის ინდუსტრიაში სწრაფად ვითარდება და გარდაქმნის ინდუსტრიის ფუნქციონირებას. ციფრული დიზაინის ხელსაწყოები და პროგრამული უზრუნველყოფა, გაძლიერებული და ვირტუალური რეალობა, 3D ბეჭდვა, ჭკვიანი ქსოვილები და ციფრული ბეჭდვა ქსოვილებზე არის მხოლოდ რამდენიმე ინოვაციური ტექნოლოგია, რომელიც სრულიად გარდაქმნის მოდის ინდუსტრიას. ეს ტექნოლოგიები გვთავაზობს უამრავ სარგებელს, გაუმჯობესებული ეფექტურობიდან და მდგრადობიდან დაწყებული დიზაინის უფრო მეტად მოქნილობამდე. ტექნოლოგიის გამოყენებით,

ინდუსტრიას შეუძლია შექმნას უფრო პერსონალიზებული და უნიკალური დიზაინი, გაამარტივოს წარმოების პროცესები და შეამციროს ნარჩენები და ხარჯები.

ტექნოლოგიების ინტეგრაცია მოდის ინდუსტრიაში არ არის მორიგი ტენდენცია, არამედ იგი არის უფრო ეფექტური, ფუნდამენტური, მდგრადი და მომხმარებელზე ორიენტირებული. ტექნოლოგიის გამოყენება მოდის ინდუსტრიაში რთული და მრავალმხრივი საკითხია, რომელიც გაგრძელდება მომდევნო წლებში. რამდენადაც ეს ტექნოლოგიები განაგრძობს განვითარებას და უფრო ფართოდ გამოიყენება მოდის ინდუსტრიაში, ჩვენ შეგვიძლია ველოდოთ კიდევ უფრო ინოვაციურ პროდუქტებს და გამოცდილებას, რომლებიც განაგრძობენ მოდის მომავლის ფორმირებას.

ჩვენ გამოვიკვლევთ ტექნოლოგიის გავლენას მოდის ინდუსტრიაზე და გზებს, რომლითაც ტექნოლოგია ცვლის ინდუსტრიას. ჩვენ განვიხილავთ ტექნოლოგიის უპირატესობებსა და გამოწვევებს მოდის ინდუსტრიაში, მოდაში ტექნოლოგიების გამოყენების ეთიკურ შედეგებს და მოდის ინდუსტრიაში ტექნოლოგიების მომავალს. მთლიანობაში, ეს თემა მოგცემთ ყოვლისმომცველ მიმოხილვას ტექნოლოგიის შესახებ მოდის ინდუსტრიაში და მის გავლენას ბიზნესზე, მომხმარებლებზე და მთლიანად საზოგადოებაზე.

**მარიამ თავდგირიძე**

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

*ბათუმი, საქართველო*

## **ბათუმის ხ. ახვლედიანის მუზეუმის ერთი ექსპონატის შესახებ**

### **(წითელფიგურიანი კრატერი)**

ბათუმის ხ.ახვლედიანის მუზეუმში დაცულ ექსპონატებს შორის, გამორჩეულ ნიმუშს წითელფიგურული კრატერი წარმოადგენს. იგი აღმოჩენილი იქნა, 1967 წელს, ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ.

კრატერი გახლავთ ღრმა და ფართო ანტიკური ხანის ჭურჭელი, რომელშიც ბერძნები ღვინოს აზავებდნენ. ფიჭვნარის კრატერზე გამოსახულია სცენები, მითოლოგიური

ღვთაებებისა და გმირების გამოსახულებებით. მსაგვსი მაღალმხატვრული კერამიკის ნიმუშები დაცულია ლუვრში (საფრანგეთი), დიდ ბრიტანეთსა და ფერარას მუზეუმში (იტალია).

წითელფიგურიანი კრატერი გახლავთ უნიკალური და იშვიათი ძეგლი, რომელიც კოლხური და ბერძნული ხელოვნების ისტორიისთვის მნიშვნელოვან არქეოლოგიურ არტეფაქტს წარმოადგენს.

**ნინო თავაძე**  
თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია  
თბილისი, საქართველო

### **ნაწარმოებთა გადაწერა-ტრანსკრიფციის მნიშვნელობა ი.ს. ბახის შემოქმედებაში**

სანოტო ასლის გაკეთება, ნაწარმოების ტრანსკრიფციის შედგენა ფართოდ გავრცელებული პრაქტიკა იყო ბაროკოს კომპოზიტორებს შორის. წარმოდგენილი ნაშრომი მიზნად ისახავს, გამოიკვლიოს აღნიშნული პრაქტიკის მნიშვნელობა, თუ რამდენად შეიძლება მან მოახდინოს გავლენა კომპოზიტორის ხელწერაზე. ვფიქრობთ, აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის საშუალებას იოჰან სებასტიან ბახის მოღვაწეობა გვაძლევს, რამდენადაც იგი ცხოვრების ყველა ეტაპზე ამუშავებდა ამა თუ იმ კომპოზიტორის შემოქმედებას. კვლევის ფარგლებში განვიხილავთ, თუ რა გავლენა იქონია ამ პრაქტიკამ ბახის საკომპოზიციო ტექნიკებზე, ფორმისა და ჟანრისადმი მიდგომაზე, მელოდიური მასალის გამოყენებასა და საკომპოზიტორო აზროვნების სხვა ასპექტებზე. ცალკეულად გამოვყოფთ კომპოზიტორებს (ბოემი, ვივალდი, პახელბელი, დიუპა), რომელთაგან ბახს “მემკვიდრეობით” გადაეცა სხვადასხვა ტექნიკა. ვისაუბრებთ, კონკრეტულად რა ჟანრებში იჩენს თავს ბახის შემოქმედებაში სხვა წყაროდან გადმოსული ესა თუ ის ტენდენცია, განვიხილავთ კონტექსტს – რა გარემოებებში ექნებოდა ბახს შეხება სხვადასხვა კომპოზიტორთან, რათა გავლენაზე საუბარი ისტორიულად გამართლებული იყოს. მეთოდოლოგიურად, დავეყრდნობით სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომებს ბახზე მოხდენილი გავლენების შესახებ და კონკრეტულ მუსიკალურ ნაწარმოებებს, რომლებშიც შეინიშნება

საერთო ტენდენციები. საბოლოოდ კი, განვიხილავთ, რა წვლილი მიუძღვის გადაწერისა და ტრანსკრიფციის პრაქტიკას ყოველივე ამაში და როგორი გავლენა იქონია ამ ტრადიციამ მომდევნო ეპოქებზე. შესაბამისად, კვლევის სიახლეს სწორედ ეს იქნება – შესაძლოა, აღმოვაჩინოთ აღნიშნული პრაქტიკის არამხოლოდ “ტექნიკური” დანიშნულება, არამედ უდიდესი შემოქმედებითი ნიშანდობლივობა და სამომავლოდ ვისაუბროთ მის მნიშვნელოვნებაზე სხვა კომპოტორთა შემოქმედებაში.

**მარიამ ჭეიშვილი**  
თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია  
*თბილისი, საქართველო*

**ქართული მუსიკალური კრიტიკა - ჟურნალისტიკა XX საუკუნის 10-20-იან წლებში  
(ჟურნალების “თეატრი და მუსიკისა” და “მუსიკა და ცხოვრების” მაგალითზე)**

მოხსენებაში მე-20 საუკუნის პრესის, კერძოდ, ჟურნალების „მუსიკა და ცხოვრებასა“ და „თეატრსა და მუსიკაში“ გამოქვეყნებული მასალების საფუძველზე განხილულია ქართული მუსიკალური კრიტიკა-ჟურნალისტიკის მდგომარეობა XX საუკუნის 10-20-იან წლებში. ნაშრომის მიზანია დადგინდეს, როგორი სახის, რა ტიპისა და თემატიკის წერილები ქვეყნდებოდა აღნიშნულ პერიოდში, ვინ იყვნენ მათი ავტორები, როგორ გადმოსცემდნენ ისინი საზოგადოების განწყობილებასა და როგორ გვიხატავდნენ თავიანთი დროის მუსიკალურ-კულტურული ცხოვრების სურათს. ასევე, რა სიახლეები მოიატანა ახალმა დროებამ წინარე პერიოდთან შედარებით.

## თეატრმცოდნეობა

ანასტასია ჩერნეცოვა  
საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა  
და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, საქართველო

მირიან შველიძის სცენოგრაფია ავთანდილ ვარსიმაშვილის სპექტაკლში

### „მექანიკური ფორთოხალი“

მირიან შველიძემ თავისი ნამუშევრებით მოხიბლა მსოფლიო მასშტაბის ხელოვანები. პარიზში გამოცემულ წიგნში «სცენოგრაფიის 100 შედევი» ქართველი მხატვრებიდან პეტრე ოცხელის «ურიელ აკოსტასთან» ერთად, სწორედ ბატონი მირიანის «რიჩარდ მესამეა» შესული.

მირიან შველიძის შემოქმედება ყველასთვის ასოცირდება რობერტ სტურუას სპექტაკლებთან, მაგრამ აღსანიშნავია, რომ იგი სხვა რეჟისორებთანაც ნაყოფიერად თანამშრომლობდა, მათ შორის თემურ ჩხეიძესთან, გიორგი მარგველაშვილთან, ანდრო ენუქიძესთან, ავთანდილ ვარსიმაშვილთან და ბევრ სხვა ქართველ თუ უცხოელ ხელოვანთან.

ავთანდილ ვარსიმაშვილმა მირიან შველიძესთან ერთად ოცზე მეტი სპექტაკლი დადგა. რთულია მათი ერთობლივი ნამუშევრებიდან ერთის გამორჩევა, მაგრამ გამოსაყოფია, ერთ-ერთი საინტერესო და ძალზე მეტყველი სცენოგრაფია, რომელიც გვხვდება 2012 წელს დადგმულ სპექტაკლში «მექანიკურ ფორთოხალი.»

ავთანდილ ვარსიმაშვილმა თავისუფალი თეატრის სცენაზე გვიჩვენა არა მომავლის ინგლისური საზოგადოება, როგორც ეს ბერჯესის რომანშია, არამედ 90-იანი წლების საქართველო.

დარბაზში შესვლისთანავე, თვალშისაცემია, ლითონის კარკასებზე გადაჭიმული სერგო ქობულაძის «ვეფხისტყაოსნის» დაფლეთილი ილუსტრაციები - «ნახეს უცხო მოყმე ვინმე...», «წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელსა თანა მიწერილი», «ლომ-ვეფხის დახოცვა» და შოთა

რუსთაველის პორტრეტი. ყოველივე მეტყველებს იმაზე, რომ «ვეფხისტყაოსანში» ჩაქსოვილი ისეთი ფასეულობები, როგორცაა მიჯნურობა, პატივისცემა, გმირობა, თავდადება, შელახულია 90-იანი წლების ომგამოვლილი, განადგურებული ქართული ახალგაზრდობისთვის, რომლისთვისაც დამახასიათებელია ფიზიკური თუ მორალური ძალადობა, ქურდობა, ნარკომანია და ა.შ.

**ლალი იობაშვილი**  
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, საქართველო

**„დედაომის“ ინტერპრეტაცია ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელმწიფო  
დრამატული თეატრის სცენაზე**

მსახიობმა, რეჟისორმა და დრამატურგმა დათა თავაძემ პიესა „დედაომი“ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომს მიუძღვნა. ეს თემა ქართული საზოგადოებისთვის დღემდე მტკივნეული, აქტუალური და მნიშვნელოვანია.

„დედაომს“ წარმატება ხვდა როგორც ქართულ, ასევე საერთაშორისო პროექტებში. იგი 2013 წლის ავსტრიულ - ქართული პროექტის „საუბარი საზღვრების შესახებ“ და „ახალი ქართული პიესა“ გამარჯვებულია. გარდა ამისა, პიესის მსოფლიო პრემიერა 2015 წელს გერმანიის ქალაქ ციტაუში შედგა და ორი წლის განმავლობაში არსებობდა თეატრის მოქმედ რეპერტუარში.

2013 წელს პიესის თეატრალიზებული კითხვა ბრიტანულ-უკრაინულ-ქართული პროექტის “New Writing” ფარგლებში კიევში მოეწყო, იმ ფონზე როდესაც რუსეთმა ყირიმის ანექსია მოახდინა და უკრაინას ჰიბრიდული ომი გამოუცხადა.

რეჟისორმა საბა ასლამაზიშვილმა პიესაზე მუშაობა რუსეთ-საქართველოს ომის დაწყებამდე გაცილებით ადრე დაიწყო, თუმცა პრემიერა უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე გაიმართა. ქართველი მაცურებლისთვის ამ სპექტაკლის ნახვა განსაკუთრებულად მძიმე აღმოჩნდა, რადგან ოკუპანტის მიერ მეგობარ სახელმწიფოში დატრიალებულმა ჯოჯოხეთმა ქვეცნობიერში შენახული განცდა გამოაღვიძა და გაამძაფრა.

რეჟისორმა პიესის დადგმა ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელმწიფო დრამატულ თეატრში განახორციელა. გარდა იმისა, რომ ეს იყო პიესის პირველი ქართული პრემიერა, სპექტაკლი მნიშვნელოვანია იმითაც რომ ახალგაზრდა რეჟისორმა სამუშაოდ რეგიონალური თეატრი შეარჩია, რომელიც უფრო მეტ ყურადღებას იმსახურებს, ვიდრე ზოგადად არის მისკენ მიმართული. აღსანიშნავია მსახიობთა თამაშიც. მაგალითად თამარ მდინარაძე (სპექტაკლში ზინა), რომელსაც აქვს არაჩვეულებრივად საინტერესო გარეგნობა და ვფიქრობ, მრავალი რეჟისორი სიამოვნებით ითანამშრომლებდა მასთან, გამორჩეულია თავისი მზაობით სიახლეების მიმართ. მსახიობი, რომლის მეტყველებას ისედაც ახასიათებს მანერულობა, სპექტაკლში ჩვეული ხერხით ცდილობს დაუსრულებლობით გამოწვეული სიცარიელის შევსებას და გადაფარვას. სპექტაკლი მოგვითხრობს ომის საშინელებასა და იმ ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე, რომელიც ადამიანურ ბუნებას აშიშვლებს, შთანთქავს და ამახინჯებს.

**კახაბერ ბრეგაძე**

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

*ბათუმი, საქართველო*

### **ილია ჭავჭავაძე და ქართული თეატრი**

ქართული თეატრი უხსოვარი დროიდან იღებს სათავეს, თეატრის ჩანასახები ჯერ კიდევ ძველ რიტუალურ დღესასწაულებში გვხვდება. ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოფი კესარიელის ცნობით „კოლხურ ქალაქ აფსარუნტში იყო თეატრის შენობა და იპოდრომი, ხოლო კლდეში ნაკვეთ ქალაქ უფლისციხეში (ძვ.წ. III-II სს.) შემორჩენილი სათეატრო ნაგებობა თავისი სცენით, ორქესტრათითა და მაყურებლისთვის განკუთვნილი ნაწილით.“

საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად იქმნება სამეფო კარის თეატრი, პარალელურად კი არსებობდა „ბერიკაობა“ და შემდეგ „ყეენობა,“ მე-18 საუკუნეში ჩამოყალიბდა გიორგი მაჩაბელის დასი, მე-19 საუკუნეში კი გიორგი ერისთავის ხელმძღვანელობით პროფესიული თეატრი.



1879 წელს ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის თაოსნობით იქმნება ქართული პროფესიული თეატრი და მასთან „მუდმივ მოქმედი დასი,“ რამაც საფუძველი ჩაუყარა ქართული თეატრის პროფესიონალურ სიმადლეებზე სვლას. დაიწყო მსჯელობა რეჟისურაზე, მსახიობების პროფესიულ ზრდასა და განვითარებაზე, თუმცა ილია ჭავჭავაძე თეატრს არა მხოლოდ სანახაობრივ ფუნქციას აკისრებდა, არამედ იგი უპირველეს ყოვლისა თეატრს მოიაზრებდა როგორც ეროვნულობის პროპაგანდის ერთ-ერთ ან, შეიძლება ითქვას, იმ პერიოდისთვის, ერთადერთ საშუალებადაც კი. თეატრი არის ადგილი სადაც „ჩვენი ენა საჯაროდ ისმის და საჯაროდ მოქმედებს“ - წერდა ილია.

**ანა სულამანიძე**

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, საქართველო

**მარტინ მაკდონას „ბალიშის კაცუნას“ ინტერპრეტაციის ორი ვერსია**

XX საუკუნის ბოლოსათვის დიდ ბრიტანეთში რამდენიმე თეატრალური ტენდენცია გამოიკვეთა, მათ შორის იყო, ე. წ. „In-yer-face theatre“ ( სახეში მოხლილი თეატრი) რომლის წარმომადგენლებიც გახლავთ: სარა კეინი, მარკ რავენჰილი, ენტონი ნელსონი და ა.შ. ამ დრამატურგთა რიგში მოიხსენიებენ მარტინ მაკდონასაც, რომლის შემოქმედების შეფასების სიუხვე ძალიან ფართოა – შავი კომედია, ფსიქოლოგიური დრამა და სოციალური დედექტივი.

მნიშვნელოვანია დრამატურგის ცხოვრების ისტორიიდან რამდენიმე დეტალი, რადგან მოგვიანებით ყოველივე სწორედ მის შემოქმედებაზე აისახა. მარტინი სწავლობდა კათოლიკურ სკოლაში, თორმეტ წლამდე უაღრესად ღვთისმომშიში ბავშვი იყო. გარდატეხის ასაკში რელიგიურობას პანკ-როკით გატაცება ჩაენაცვლა.ეს ფაქტი, თითქოს მისი ბიოგრაფიის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია, მაგრამ ფაქტია თავს იჩენს მის დრამატურგიაში, მათ შორის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ და მნიშვნელოვან პიესაში „ბალიშის კაცუნა.“

„ბალიშის კაცუნა“ მარტინ მაკდონას ცხოვრების ანარეკლია. ქართული თეატრის

სცენიდან არაერთხელ გაჟღერდა ირლანდიელი დრამატურგის გვარი, მაგრამ ბოლო ათწლეულის განმავლობაში ორი აბსოლუტურად განსხვავებული რეჟისორი დაინტერესდა აღნიშნული პიესით. პიესის სირთულე უპირველესად ვლინდება, რომ თავიდან ბოლომდე მიმართულია ბავშვებზე და მათ ფსიქიკაზე. ბავშვზე მოქმედებს თითოეული ნაბიჯი, სიტყვა, თუნდაც ის იყოს მცირეწლოვანი.

დავით დოიაშვილი და გეგა გაგნიძე „ბალიშის კაცუნას“ ორ აბსოლუტურად განსხვავებულ ვერსიას გვთავაზობს თავიანთი დამახასიათებელი ესთეტიკით, გამომსახველობითი საშუალებებით და ა.შ. რეჟისორები ერთსა და იმავე პრობლემაზე სხვადასხვა სასცენო ენით გვესაუბრებიან ისეთ პრობლემებზე, როგორცაა ძალადობა, მსხვერპლი, სისასტიკე, ადამიანის ფიზიკური თუ სულიერი განადგურება და დაკნინება. ყოველივე დამანგრეველზე, რაც საბოლოოდ ტრაგედიას ქმნის. ორივე სპექტაკლი მაყურებელს აფიქრებს - დროა საზოგადოებამ საკუთარ თავს ჰკითხოს თუ რა მიზეზები წარმოქმნის და რას მივყავართ ამგვარ გადაუჭრელ პრობლემამდე.

**სიხარულიძე შორენა, თეკლა ჯიჯავაძე**

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

*ბათუმი, საქართველო*

**მსახიობის მუშაობა როლზე**

**(აკაკი ვასაძის წიგნის „მოგონებები, ფიქრები“ მიხედვით)**

ჩვენს მოხსენებაში შევეცდებით აკაკი ვასაძის წიგნში „მოგონებები, ფიქრები“ აღწერილი ახმეტელისეული „ყაჩაღების“ სადადგმო პროცესის გაანალიზებას. აღსანიშნავია, რომ წიგნის ავტორი, როგორც მსახიობი, თავად იყო ჩართული სარეპეტიციო პროცესში, იგი ფრანც მოორის როლს ასრულებდა.

ჩვენთვის, დრამისა და კინოს სამსახიობო სპეციალობის სტუდენტებისათვის გენიალური ქართველი მსახიობის აკაკი ვასაძის მოსაზრებები მსახიობის ხელოვნების შესახებ, მსახიობის როლზე მუშაობის მეთოდი ძალზედ მნიშვნელოვანი და საინტერესოა, ამავე დროს საინტერესოა იმ ეპოქაში მოღვაწე (30-იანი წლები) შემოქმედის მიერ დანახული

და შეფასებული პოლიტიკური თუ სოციალური, შემოქმედებითი თუ ესთეტიკური პროცესები.

აკაკი ვასაძე სანდრო ახმეტელის თეატრალური იდეების თანამოაზრე იყო, ერთად ჩამოაყალიბეს მსახიობთა კორპორაცია „დურუჯი“, რომლის სულისკვეთება აერთიანებდა ახმეტელსა და რუსთაველის თეატრის ახალგაზრდა თაობის მსახიობებს. აკაკი ვასაძე ფრანც მოორის როლს ასრულებდა „ყაჩაღებში“ და მოგონებების სახით, საინტერესო მემკვიდრეობა დაგვიტოვა სარეპეტიციო პროცესის შესახებ. „პირადად მე - წერს აკაკი ვასაძე - თეატრალურ ლიტერატურაში არ შემხვედრია, რომელიმე თეატრს იმგვარად ამოეწიოს, აემალლებინოს და აშკარად თვალსაჩინო გაეხადოს შილერის “ყაჩაღების” მგზნებარება, ტემპერამენტი, გაბედული და მოქალაქეობრივი პათოსი, როგორადაც ეს რუსთაველის თეატრის კოლექტივმა შეძლო 1933 წელს. ჩვენი სპექტაკლი სავსებით ამართლებდა ამ პიესის სათაურის დედააზრს – “ინ ტირანოს” ანუ “ტირანიის წინააღმდეგ.”

## მედია

ლიკა ფაჩუაშვილი  
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი  
თბილისი, საქართველო

### დეზინფორმაცია უკრაინის ომის განმავლობაში

(BBC, 2022)

თანამედროვე სამყარო წარმოუდგენელია სიახლისა და ინფორმაციის გარეშე, რაც თავის მხრივ განაპირობებს მრავალი წყაროს არსებობას.

ინფორმაცია შეიცავს სიახლეს, შეტყობინებას. მედიის წარმომადგენლთათვის პირველი ნაბიჯი ძიება-შეგროვებაა. სიახლის ძიების პროცესი, შემდგომში ამ სიახლის შესახებ ფაქტების, ცნობების შეგროვება, მისი დასაბუთება, წყარო, მოპოვებული ინფორმაციის დაზუსტება, გადამოწმება, მარტივ ენაზე წერა თუ საუბარი. გასათვალისწინებელი და აუცილებელი მოთხოვნა აუდიტორიისთვის სიმართლის გადაცემა, ობიექტური ინფორმაციის მიწოდება.

ჟურნალისტიკა კანონით, ქარტით და მრავალი წესით ავალდებულებს მედიის წარმომადგენელს და მოითხოვს მისგან ობიექტურობას, სიმართლის გავრცელებას, ინფორმაციის გადამოწმებას და ა.შ. მაგრამ დღეს მაინც აქტუალურ პრობლემად რჩება სატყუარა ინფორმაციის გავრცელება, რომელიც იზიდავს ხალხს, აჯერებს იმ რეალობას, რომელიც არ არსებობს. ამას სხვაგვარად დეზინფორმაცია ეწოდება.

დეზინფორმაცია ცრუ ინფორმაციის გავრცელებას ნიშნავს, როგორც ცნობილია საბჭოთა პერიოდიდან იწყება, თუმცა ოფიციალურად 1952 წელს განისაზღვრა საბჭოთა ენციკლოპედიაში, როგორც საზოგადოების განზრახ მოტყუება.

დეზინფორმაცია, სიმართლის მარცვალზე აგებული კარგად შეფუთული, გადაკეთებული შეტყობინებაა, რომელსაც კონკრეტული მიზანი გააჩნია, იქნება ეს პოლიტიკური, კულტურული თუ სხვა სახის. იგი იმდენად ზემოქმედებს საზოგადოებაზე, რომ შეუძლია დანერგოს ან შეუცვალოს უკვე არსებული აზრი წაიყვანოს სხვა მიმართულებით მომხმარებელი და შეუქმნას არარეალური გარემო.

მნიშვნელოვანია დეზინფორმაციის როლის გამოკვეთა, მისი უარყოფითი თვისებები და თანამედროვე მაგალითებზე დაყრდნობით გავიგოთ, თუ სად იმალება იგი და როგორ შეიძლება გავარჩიოთ სიმართლისგან. დეზინფორმაციას განსაკუთრებული ადგილი ეთმობა უკრაინის ომის პროცესში.

BBC-ის ოფიციალურ ვებგვერდს დეზინფორმაციის სპეციალური განყოფილება აქვს. აქ თავმოყრილია სხვადასხვა მედიასაშუალებების მიერ უკვე გავრცელებული ცრუ ინფორმაცია, ფაქტები თუ ფოტოები. BBC-ის, როგორც საზოგადოებრივი მაუწყებელი, თავის მხრივ ებრძვის დეზინფორმაციას. პირველ ეტაპზე იგი უარყოფს არასწორ შეტყობინებასა და მასალებს, გამოკვეთილად წერს, რომ ესა თუ ის ინფორმაცია ყალბია, აქვეა ახნილი რატომ არის ყალბი, როგორია რეალური ინფორმაცია და ა.შ. ბოლო საფეხური არის ფაქტები და არგუმენტები, რომელთა საშუალებითაც საზოგადოება იგებს სიმართლეს.

ბრიტანეთის საზოგადოებრივი მაუწყებელი BBC, დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, რუსეთ-უკრაინის ომის განმავლობაში დეზინფორმაციული

პროცესების წინააღმდეგ საინტერესო მიდგომით გამოირჩევა, რაც სანიმუშოა ქართულენოვანი მედიებისათვისაც.

**ნინო ბერიძე**

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი  
ბათუმი, საქართველო

### **მედიის მორალური პანიკა და მოზარდები**

თანამედროვე ცხოვრებაში მასმედია მუდმივად აძლიერებს შესაძლებლობებს და ზრდის მიდრეკილებას მორალური პანიკის მიმართ. „მორალური პანიკა წარმოდგენელია მედიის გარეშე.“ მედია აყალიბებს სტერეოტიპებს, ამყარებს წესრიგს ან ქმნის ქაოს საზოგადოებაში. მედიის როლი განსაკუთრებით დიდია მოზარდების ქცევაზე გავლენის მოხდენის კუთხითაც. მას შეუძლია მოზარდებში გამოყოს სოციალური ჯგუფები, შექმნას მათგან მითები და რეალური ისტორიები. დღევანდელ ეპოქაში, ტექნოლოგიების განვითარებამ კიდევ უფრო გაზარდა მედიის მორალური პანიკა მოზარდების მიმართ. წინამდებარე ნაშრომში ჩვენ განვიხილავთ

არაერთ მაგალითს უცხოური თუ ქართული მედიიდან. სიღრმისეული ანალიზით წარმოგიდგენთ სატელევიზიო რეპორტაჟებს და საგაზეთო სტატიებს, რომლებიც ეხება მოზარდების საკითხების. სამწუხაროდ, მასმედია დღემდე ახერხებს „ბავშვთა საზოგადოებაში“ მორალური საზღვრების გამოკვეთას და საშინელი პროგნოზების გავრცელებით მოზარდების მარგინალიზაციას.

### **სატელევიზიო რეკლამის გავლენა მომხმარებლის ქცევაზე**

სატელევიზიო რეკლამა ერთ-ერთი ძვირადღირებული მარკეტინგული იარაღია, ხშირად კომპანიები შემოსავლის უდიდეს ნაწილს სწორედ რეკლამაში ხარჯავენ. მიუხედავად იმისა რომ სატელევიზიო რეკლამას დიდ კონკურენციას უწევს რეკლამა სოციალურ ქსელებში ჯერჯერობით იგი მაინც ლიდერი რჩება ბაზარზე.

*„რეკლამა - ადამიანზე ბატონობის ის პირველი სისტემაა ისტორიაში, რომლის წინააღმდეგაც თავისუფლებაც კი უძღვრია“* - დაწერა ფრანგმა მწერალმა და კრიტიკოსმა ფრედერიკ ბეგბედერმა, და მართლაც - საინტერესოა რაიმე პროდუქციის ყიდვისას ვინ ღებულობს რეალურად გადაწყვეტილებას? მომხმარებელი თუ მწარმოებელი? გვიბიძგებს თუ არა რეკლამა მიგვაღებინოს ესა თუ ის გადაწყვეტილება თანაც ისე, რომ ეს გადაწყვეტილება ჩვენივე საკუთარი გვეგონოს? ახდენს თუ არა რეკლამა გავლენას ჩვენი გემოვნების ფორმირებაზე, ჩვენს სურვილებსა და ქცევაზე.

### **საქართველოში არსებული შეიარაღებული კონფლიქტები და ქართული მედია**

საკონფერენციო თემის მიზანია, მედიაში არსებული რეალობის გააზრება, თუ რამდენად უთმობს მედია კონფლიქტურ რეგიონებსა და მათ ირგვლივ განვითარებული მოვლენების გაშუქებას დროსა და ყურადღებას. ნაშრომში განხილული იქნება დღემდე არსებული აქტუალური პრობლემები კონფლიქტურ რეგიონებთან, ეთიკური გაშუქების თვალსაზრისით. წარმოდგენილი იქნება არაერთი ვებგვერდი, სადაც გადმოცემულია კონფლიქტების ანალიზისა და მშვიდობის კვლევების აკადემიური დისციპლინა საქართველოში.

ასევე, განვსაზღვრავთ სწავლების მიზნობრიობას, კერძოდ, კვლევის ან სწავლების პროცესი რა მიზანს ემსახურება, რა კონკრეტული პრობლემის კრიტიკულად ანალიზსა და გადაჭრას ისახავს მიზნად და რა შედეგი შეიძლება მივიღოთ პროფესიული ზრდის მიმართულებით

# კულტურის მენეჯმენტი, კულტურული ტურიზმი, განათლება

თამარა ბერდიბეჯი

ყაზახეთის ტურიზმისა და მასპინძლობის საერთაშორისო უნივერსიტეტი

თურქესტანი, ყაზახეთი

## ხოჯა აჰმედ იასავის მავზოლეუმის მნიშვნელობა, როგორც კულტურული ტურიზმის მთავარი ობიექტი

ყაზახეთში, რომლის ისტორია უძველესი დროიდან იწყება, უამრავი კულტურული მონუმენტია, რომელმაც საუკუნეებს გაუძლო. ერთ-ერთი ასეთი უნიკალური და შესანიშნავი ძეგლია ხოჯა აჰმედ იასავის მავზოლეუმი, რომელიც უძველეს ქალაქ თურქესტანში მდებარეობს. ხოჯა ახმედ იასავი და თურქესტანი მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ყაზახეთის ეროვნული სტატუსის აღდგენაში. ხოჯა აჰმედს ჰქონდა საკუთარი სწავლება და გზა „იასავი“, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ სუფისტურ რელიგიას ცენტრალურ აზიაში. ამ სწავლებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამ რეგიონის მოსახლეობის რელიგიურ ჩამოყალიბებაში.

ქალაქი თურქესტანი წარმოადგენს სულიერ და პოლიტიკურ ცენტრს. ქალაქის სახელი და დიდება დაკავშირებულია ხოჯა ახმედ იასავის ძეგლთან. ამიტომაც, ეს ადგილი იქცა ყველაზე ცნობილ და მონახულებად კომპლექსად ცენტრალურ აზიაში.

მავზოლეუმის ნაგებობა საკმაოდ კომპლექსურია. ამ შენობამ გაუძლო მშრალ ყინვებს, გვალვას, მიწისძვრებსა თუ წყალდიდობებს. მავზოლეუმი, როგორც უნიკალური არქიტექტურული შედეგის შესულია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში 2003 წლიდან.



### 21-ე საუკუნის ჭირი

2020 წლის პანდემია ისტორიაში შევა რევოლუციის სახით, რომელმაც სამუდამოდ შეცვალა ადამიანის ფსიქოლოგია. ოქროს ფასი დაედო ისეთ ყოველდღიურ მოვლენებს, როგორცაა ფეხით სიარული და გარეთ ყოფნის თავისუფლება. შეიცვალა არა მხოლოდ სიტუაცია მსოფლიოში, არამედ თვით ადამიანიც. გადაფასდა ღირებულებები და მსოფლიოს აღქმა. ის რაც იზოლაციამდე იყო ღირებული, სრულიად დაკარგა მნიშვნელობა პანდემიის პირობებში.

ნაშრომის მიზანია, განიხილოს და გაანალიზოს გლობალური სიტუაცია, თუ როგორ აისახა მისი შედეგები ტურიზმზე, ფსიქოლოგიაზე, განათლებასა და ეკონომიკაზე. თემის შესწავლისას გამოვიყენეთ რამდენიმე კვლევის მეთოდი: თეორიული (ნორმატიული აქტების, ფსიქოლოგიური, სოციალური, ეკონომიკური და სამედიცინო ლიტერატურის ანალიზი), ემპირიული (შედარებითი ანალიზი, სტატისტიკური მონაცემები) დიაგნოსტიკური (ინტერვიუ, კვლევა, კითხვარი) და სტატისტიკური (კვლევის შედეგების ცხრილების, დიაგრამების, სქემების და ციფრების სახით წარმოჩენა) მეთოდები. კვლევის პერიოდში განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო კვლევაში ჩართული ადამიანების პირადი მოსაზრებები, სამეცნიერო ლიტერატურაზე შეუზღუდავი წვდომა, გამოკითხვები, ინტერვიუ და შედარებითი ანალიზი. შედეგებში უმეტესწილად პანდემიის უარყოფითი ზეგავლენა აისახა, თუმცა 2020 და 2023 წლების შედარება მკვეთრად განსხვავებულ შედეგებს იძლევა.

### **კულტურული მემკვიდრეობის მართვის თანამედროვე გამოწვევები**

დედამიწაზე მიმდინარე ბუნებრივი კატაკლიზმების, ომებისა თუ ადამიანების უხეში ჩარევის გამო კულტურული მემკვიდრეობის დაცვა თანამედროვე მსოფლიოს მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ზემოაღნიშნულ მიზეზებს ზოგადსაკაცობრიო ღირებულების არაერთი ძეგლი ძეგლი შეეწირა ან დაკარგა ავთენტურობა.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა საერთაშორისო კონვენციებით, სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებებითა და ეროვნული საკანონმდებლო აქტებითაა გარანტირებული. ქვეყნის კანონმდებლობა არეგულირებს კულტურული მემკვიდრეობის მართვის, მოვლისა და დაცვის პროცედურულ საკითხებს.

ზოგადად თუ გადავხედავთ კულტურული მემკვიდრეობის მართვის საერთაშორისო პრაქტიკას, კულტურული მემკვიდრეობის დაცვაში მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს, აგრეთვე, დასახლებული პუნქტების ურბანული განაშენიანება და ტურიზმის დაუგეგმავი განვითარება. ადგილობრივი პირობების გაუთვალისწინებლად ტურისტთა მრავალრიცხოვანმა ნაკადებმა შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს. არაერთ ქვეყანაში, ამ მხრივ, რეგულაციებით კონტროლდება ძეგლების ტერიტორიაზე ტურისტების გადაყვანა, კეთდება დამცავი ბილიკები, უკიდურეს შემთხვევაში ამზადებენ ძეგლის ასლებს და ა. შ.

### **საშემსრულებლო ხელოვნების სფეროს ორგანიზაციების მართვის თავისებურებები**

საშემსრულებლო ხელოვნების სფეროს ორგანიზაციების ძირითადი მიზანია სხვადასხვა ტიპის სახელოვნებო პროდუქციის წარმოება, რომლის რეალიზების განუყოფელი

ელემენტია ცოცხალი შესრულება. აქედან გამომდინარე, გამოყოფენ საშემსრულებლო ხელოვნების რამდენიმე სახეობას - **თეატრი, მუსიკა და ცეკვა**. თითოეულს ამ სახეობათაგან გააჩნია საკუთარი თავისებურებანი, მაგრამ საერთო ჯამში მათ სამართავად გამოიყენება მსგავსი პრინციპები.

საშემსრულებლო ხელოვნების სფეროს დაწესებულებებში, სხვა დაწესებულებების მსგავსად, ხდება საორგანიზაციო სტრუქტურის დანაწევრება სხვადასხვა ერთეულებად, რომლებიც ერთმანეთს უკავშირდებიან მმართველობითი სისტემის პრინციპების შესაბამისად. მაგრამ საშემსრულებლო ხელოვნების სფეროს ორგანიზაციების სტრუქტურის სპეციფიკას განსაზღვრავს არა ადმინისტრაციული ფუნქციები, არამედ შემოქმედებითი მიზნები და ამოცანები. ამ ტიპის ორგანიზაციების წარმატებული ფუნქციონირება წარმოუდგენელია ამ ორი სექტორის ურთიერთკავშირის გარეშე.

საშემსრულებლო ხელოვნების სფეროს დაწესებულებებში წამყვანია **შემოქმედებითი სექტორი**, რომელმაც უნდა უზრუნველყოს პროდუქციის მაღალი მხატვრული ხარისხი, ამიტომ ორგანიზაციული სტრუქტურის ყველა დანარჩენი სექტორის მუშაობა მიმართულია ამ პროდუქტის წარმოებისა და შემდგომი რეალიზებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნაზე.

# **VI International Student Conference**

## **Program**

### **Conference Organising Committee**

<b>Temur Kezheradze</b>	Rector, Professor, Chairman of the Organising Committee;
<b>Gela Beridze</b>	Head of Administration;
<b>Sopio Tavadze</b>	Associate Professor, Head of Quality Assurance Office of the Faculty of education, Humanities and Social Sciences;
<b>Tea Tsaguria</b>	Assistant-Professor, Head of Scientific and Publishing Department;
<b>Salome Chikashua</b>	Specialist of Scientific and Publishing Department;
<b>Akaki Mukhashavria</b>	IT Manager;
<b>Tinatin Jashi</b>	3 <sup>rd</sup> -year Student of Culture Management Bachelor Program;
<b>Nino Beridze</b>	3rd-year Student of TV-Radio Journalism Bachelor Program

## **Agenda**

**May 18**

10.00-10.30 - Registration of the participants

10.30-11.00 \_ Opening of the conference

11.00- 12.30 \_ I Session

12.30-13.00 \_ Coffee Break

13.0-14.30 \_ II Session

14.30-15.00 \_ Lunch

15.00-15:30 \_ Summing up and closing of the conference

15:30 \_ **Concert of the students of the Batumi Art State University**

### **Time Limit**

**Presentations - 10 minutes**

**Discussions - 5 minutes**

Georgia, Batumi, № 19/32 Zurab Gorgiladze/Vazha-Pshavela Street

[www.batu.edu.ge](http://www.batu.edu.ge)

[info@batu.edu.ge](mailto:info@batu.edu.ge)

## **Section: Art Criticism, Music Studies**

**I Session - 11.00-12.30**

**Moderator: Rati Chiburdanidze, Professor**

1. **Nino Gogiberidze - *Miron Shvelidze - "Silent Knight"***. Batumi Art State Teaching University. Bachelor Educational Program. Specialty – Art Criticism. I year.  
Supervisor: Assistant professor – Natia Kvatchadze.
